




ხმოვთა გიჟრო

ბ. გ. ფირცხალავასი

- თქვენ ხომ ვერ შეტყუით ხალ ცხოვრობს ვიღებია? შიელი თბილისი მოვიარე და ვერ მოვაგენია...
- რომელი ვიღებია?! ვიღებია ამ უბანში ხუთია, ბეჩა. ერთი ჩახიძებულაია, პრაფუხით ქირურგი, მეორე ბუხსალტრაი გახლავთ, ახლასან გაეუარა ცოლს და ახალგაზრდა. გოგო შეირთო, არა, რუხიკო?.. შეხამე—ამას წინათ ვარდიცვალა... შეიოხე... ძია-კაცო, ჩვენ რას გვეკითხებით, ხომ ხედავთ, ჩვენი ამბითა ვართ ვართული. ცნობათა ჰიურო ხომ არ გვინფორმირებ?
- ცნობათა ჰიუროს იმაზე მეტი რა ეცოდინება, შვილო, რაც უნერ ერთ წუთში გამაგებინებ...

ნ ი ა ნ ბ ი

ძაბიჯებო სათითო!



ღრუბლიანი ღღე იყო. ქარი სისინით უფლიდა სართი-
ქალის დაბლობს, ცივი ნემსებით ჩხვლევდა, გვერდებს უთან-
გავდა მომლოდინე მგზავრებს. იდგნენ ისინი ღია ბაქანზე
და უცდიდნენ წნორიდან თბილისისაკენ მომავალ მატარე-
ბელს, ლელავდნენ კიდევ—ვაითუ დაიგვიანოსო.

მაგრამ უსაფუძვლო აღმოჩნდა ლელვა. კახეთის მატარე-
ბელმა № 78-მა ივრისპირიდანვე მოაკივლა — მხიარული
მგზავრების მოახლოება. დაფაცურდნენ სართიქალები, ჩემოდნებსა და ხურჯინებს ხელი დასტაცეს და სახერხოდ ჩამ-
წკრივდნენ, რომ გაჩერებისთანავე ვაგონებში ამოეყოთ თავი.

მაგრამ ნახეთ ოინი: მატარებელმა სართიქალას გიანასი-
თა და ქშენით ჩაუქროლა, სვლას უმატა, ცაში კვამლის ზო-
ლი გაავლო და, როგორც იტყვიან, გაფრინდა!

სადგურზე კი ბილეთიანი 26 მომლოდინე მგზავრი და-
ტოვა.

და განა მართო მგზავრები? დატოვა თვით რევიზორე-
ბის ჯგუფიც, რომელიც იმავე მატარებლის შესამოწმებლად
იყო თბილისიდან ჩამოსული. უნდა გენახათ მათი წივილ-კივილი:
სტვენა და მუქარა. ბევრმა რევიზორის ჭახაჭახიც კი ასტე-
ხა ჰაერში, ეგები მემანქანეს დაავიწყდა, რომ აქ სადგურია
და გავახსენოთო.

ამაო აღმოჩნდა მათი გარჯა: მემანქანე გ. კახიძემ, უფ-
როსმა გამცილებელმა დანელიამ და, საერთოდ, მატარებლის
ბრიგადამ ეს აურჯაური ბუზის ბზუილადაც არ ჩათვალეს.
რამდენად სწორია არ ვიცით, მაგრამ ისიც კი გვითხრეს, ამ
დროს დანელია ბადიურში დაწყებულ სადღეგრძელოს ამ-
თავრებდა და სართიქალის ბაქანზე დატოვებულ მგზავრებ-
თან ალავერდსაც კი გადმოვიდაო.

ჩვენ არ ვიცით როგორი „იანშიოლით“ უბასუხეს დარ-
ჩენილებმა, მაგრამ ის კი კარგად გავიგეთ, რომ კახიძე-დანე-

ლიას ამ უბასუხისმგებლო მოქმედებას რკინიგზაზე ბადალს
ვერავენ მოუნახავს.

იქნებ იფიქროთ, რომ კახიძე-დანელიამ შემთხვევით და
შეუმჩნევლად ჩაუარეს სადგურს, რომელზეც გრაფიკით 4
წუთი გაჩერება ჰქონდათ დანიშნული? რა ბრძანება! კახიძემ,
გაჩერების მაგიერ, თურმე იმიტომ ააჩქარა მატარებელი, რომ
არ შეეშვა შიგ რევიზორების ჯგუფი, რომელიც ამ სადგურ-
რიდან იწყებს ხოლმე თბილისისაკენ მომავალთა სამგზავრო
ბილეთების შენაწმებას.

აბა, გამოიცანით რამდენი უბილეთო მგზავრის „სამად-
ლობელი“ დაიხარჯებოდა იმ მატარებელში კახიძისა და ნი-
სი გამცილებლების მისამართით, რომელნიც ასეთ ახირებულ
რისკზე წავიდნენ?

მაგრამ რალა თქვენ იმტვრიოთ თავი ამ რთული რებუ-
სის ასახსნელად? ზემოთ მოთხრობილი ამბავი ხომ უნდა გა-
ნეხილა რკინიგზის სათანადო ხელმძღვანელობას? განიხილეს
კიდევ. თბილისის საორთქლმავლო დეპოს ადმინისტრაციამაც
და დეპოელთა საერთო კრებამაც თავიანთი ბედნიერი ყურით
მოისმინეს მემანქანე კახიძის „დასაბუთებული განმარტება“.


— რა ვუყოთ? სართიქალაში თუ არ გავაჩერეთ, იქი-
დან ორი კილომეტრის გამოვლის შემდეგ შუა მინდორში ხომ
ვიდექით ცოტა ხანს? განა რა დიდი დანაშაულია, თუ „ბი-
ჭებმა“ (კონდუქტორებმა) მთხოვეს და ხათრი არ გავუტეხე?—
საყვედურით მოიჩივლა კახიძემ.

თუ ეს ახირებული განცხადება რკინიგზული ხუმრობაა,
მაშინ რალა ეწოდება თბილისის საორთქლმავლო დეპოს ად-
მინისტრაციის მოქმედებას, რომელმაც მთელი აქ მოთხრო-
ბილი ამბავი კიდევ დაადასტურა და კახიძეც და დანელიაც
თავიანთ ადგილზე თბილადვე დატოვა?

ფარსადანი


პარიზის შეთანხმებების საბოლოო რატიფიკაციის მოლოდინში წინააღ-
მდეგობანი მონაპოლისტებს შორის მწვევდება.

ნახ. გ. ლომიძისა



მათ ჰგონიათ პაექრობა
სხვაგვარია ახლანდელი...

სულ სხვას ფიქრობს ფინანსიურ
მოქმედების მაკრატელი.



რესტორანმა შეიძინა მაცივარი. მაცივარს მოჰყვა ტარა. მკვრივად ნაგები ყუთი იყო, უბრალო რამ კი არა! მაცივარი რესტორანში შეიტანეს, ტარა ეზოში გაიტანეს, დაშალეს და ფიცრები კედელზე მიაყუდეს.

დრო გადიოდა. ტარას წვიმა დასდიოდა...

მივიდა დირექტორთან თანაშემწე და ეუბნება:

— ფუტღება ტარა. მშენიერი მასალაა, გავაკეთოთ მაგიდა.

დირექტორი ჩაფიქრდა.

— მაგიდა?! ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ტრესტის მმართველს შეეკითხეთ? არა?! ასე არ შეიძლება, არა!..

მივიდა თანაშემწე მმართველთან და ეუბნება:

— ფუტღება მაცივრის ტარა, გავაკეთებთ მაგიდას. განოგვადგება.

— მაგიდა?—მმართველიც ჩაფიქრდა,—ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ხომ სახელმწიფო ქონებაა ტარა?! თქვენ პირად მიზნისათვის იყენებთ. ასე, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, არა!

შემოდგომა ზამთარმა შესცვალა. ტარას თოვლი დაედო. თანაშემწე დირექტორს ეუბნება:

— შეშად მაინც გამოვიყენოთ, თითქმის გაფუჭდა ტარა.

— შეშად? — ფიქრობს დირექტორი, — შეშად, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ტრესტთან შეუთანხმებლად კი არა! ეახლა თანაშემწე მმართველს და ეუბნება:

— სამზარეულოს სათბობი აკლია, იქნება დაგვრთოთ ნება შეშად დავაპოთ თითქმის უკვე დამპალი ტარა.

— შეშად მაცივრის ტარა?! ეგ, რა თქმა უნდა, ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ სახელმწიფო ქონებაა ტარა! თქვენ იმით გათბობა მოგინდათ? არ შეიძლება, არა! ზოგ რამეს თქვენც უნდა მიხვდეთ, მაწუხებთ წარამარა!

— იქნებ დაგვთანხმდეთ, ზახარიჩ, ლამის სულ დაღპეს...

— მე გაუთავებ, კმარა!

ზამთარი გაზაფხულმა შეცვალა, ისევ აწვიმდა ტარას, დაღპა და დაიშალა.

... დრო გადიოდა. ტრესტის მმართველი ზოგჯერ რესტორანში სავაზაზოდ შემოდიოდა (შემთხვევით, რა თქმა უნდა). მიეჭრა ერთხელ დირექტორი, ეზოში გაიყვანა, ტარა უჩვენა, დაეღრიჯა და სთხოვა:

— მთლად გაფუჭდა ტარა, წვიმამ დააღპო. ხომ შეიძლება ჩამოგვაწეროთ? არა?


— ჩამოგაწეროთ ტარა?! კომისიას გამოგვზავნიდა, თუ მართლაც გაფუჭდა ტარა, მისი ჩამოწერა (მმართველმა დირექტორის თანაშემწეს გადახედა), კი შეიძლება, არა?..

მოვიდა კომისია, კომისიამ დაწერა აქტი, აქტს მოუნდა ათი თაბახი ქალაღდი, ერთი სამუშაო დღე და ერთი ბოთლი მეღანი. ასე ჩამოიწერა ტარა, მაგრამ დირექტორი და მმართველი კი... არა!


გიორგი ჯინჟარაძე



მოულოდნელად ააფრთოვანეს მობინადრეთა გული: სახლი შეღება და შეალამაზა სარემონტო კანტორამ...




.. მაგრამ, სახლს თურმე საკვამლე მიღების და წყლის მიღების შეკეთება სჭირდებოდა. ამიტომ ისევ მოულოდნელად...



ნიანგის შენიშვნა: ვწუხვართ, რომ კონკრეტულად მისამართი არ მოგვაწოდა ჩვენმა ჩატორეპონდენტმა. მკითხველებს ვთხოვთ, თუ ასეთი შემთხვევა მართლაც იყო საღმე, წერილობით შეგვატყობინონ. მრავალიც რომ იყოს, ჩვენ მას უთუოდ გამოვაქვეყნებთ...

პოხორხეზაყლი ჯაიონები


ზოგიერთ წარმოებაში
კადრების განყოფილება
მისაღებ პირის სურათის
წარდგენით კმაყოფილდება.



არტელის თავმჯდომარედ ზის,
თუმცა ფილოლოგი კაცია,
„სიბრძნე სიკრუის“ თემაზე
დაუცავს დისერტაცია.



ბაკალეიას განაგებს
ყოფილი აფთიაქარი,
სულ „რეცეპტებით“ გაუშეა
თურმე ეზოდან შაქარი.



თავმჯდომარემ და მთავებუხმა
ერთმანეთს რალაც ანიშნეს,
„საქონლის მცოდნის“ ადგილზე
„თეატრის მცოდნე“ დანიშნეს.




„მელვინეობა“ ასწავლეს,
გაზარდეს სოფლის მუშაკად,
„სახანძრო რაზმში“ შევიდა,
„კოშკურაზე“ დგას გუშაგად.



აგრონომს, სოფლის ტალახი
დიპლომზე რომ არ მოეცხო,
კუკიის სასაფლაოზე
მიწათმომწყობად მოეწყო.

ს. აბაიშვილი

ბენია ცინცაძეს ხუმრობს



რესტორან „დარიალში“... 1954
წლის 29 დეკემბერს მომხმარებელმა
ბორში და პური მოითხოვა.

მომხმარებელმა რამდენიმე კოვზი
წვენი შეხვრია, გემო არ მოეწონა და
თეფშის ძირს კოვზი მოუსვა, კოვზს კუ-
პატის ნაჭრები ამოყვა—არც ეს მოე-
წონა და საჩივრის წიგნი მოითხოვა,
რაზედაც ცივი უარი მიიღო. დირექ-
ტორს მოუხმო, დირექტორმა ბენიამინ
ცინცაძემ თავის შეწუხება არ იკადრა.

აბუხად აგდებულმა მომხმარებელმა
ქალაქი იშოვა, ერთ მხარეზე ბორშიში
აღმოჩენილი კუპატი და შემწვარი ხორ-
ცის ნაჭრები დააღაგა, აქტი დაწერა
და ოთხ დამსწრეს მოაწერინა ხელი,
აქტი და სანოვაგე მან ერთ-ერთ დამს-
წრეთაგანს ჩააბარა და მეორე ოთახში
გავიდა.

დამსწრეს უმაღვე თავს დაესხნენ
დირექტორი ცინცაძე და შეფშარე-
ული გაბო ჯოხაძე, აქტი თავზე გა-
დაახიეს, კუპატისა და ხორცის ნაჭ-
რები კი თვალსა და ხელს შუა გააბა-
რეს, ხოლო დამსწრეს ცხვირ-პირიდან
სისხლი ადინეს. ნაცემმა მილიციის მეჩ-
ვიდმეტე განყოფილებას მიაკითხა. შედ-
გა ექიმ აბაშიძის მიერ ხელმოწერილი
სასამართლო სამედიცინო შენობების

აქტი № 9652, რომელშიც დაწვრილ-
ებით არის აღწერილი ცინცაძეს დაჯი-
ხადის მუშუტების „ნამოქმედლო“
ამის შემდეგ თვეც გავიდა, მაგრამ
საქმე კიდევ არ არის შედგენილი, და
იციტ რატომ?

დირექტორმა ბენია ცინცაძემ (მი-
ლიციის ყოფილ მუშაკთა უფროს შე-
მადგენლობას ეკუთვნის) გამომძიებელ-
თან გამოცხადებაზე უარი განაცხადა.
უარი განაცხადა და დასძინა:

— ბორშიში კუპატები აღმოაჩინეს,
თავი ხომ არა? განა კუპატი და მწვა-
დის ნაჭრები უფრო ძვირად არ ფა-
სობს, ვიდრე დაბალი ხარისხის ხორცი,
რომელსაც ჩვენ ასეთ კერძებში ვხმა-
რობთ?

— რაო? მომხმარებელს ბლაგვი საგ-
ნით მივაყენეთ „დაეფილობაო“? დიდი
ამბავი მომხმარებელი: სხვა რესტორნებში
ხომ ასეთი ჩხუბის დროს ჩვეულებრივ
დანებას ხმარობენ!—დაასაბუთა ცინცა-
ძემ.

ასე ხუმრობს „დარიალის“ დირექ-
ტორი. ხომ არ ფიქრობს ბენია ცინ-
ცაძე, რომ მისი „არგუმენტები“ მარ-
თლაც დაურღვეველია?

გ. ლავლაძე

ქუთათუარი ბროლიუზი

ამბობენ, როცა ქუთაისში ტრო-
ლეიბუსი პირველად გაიყვანეს, აღტა-
ცებული ქუთაისელები საათობით არ
ჩამოდიოდნენ ტროლეიბუსიდან, წინ
და უკან დასეირნობდნენო.

მაგრამ აი, ტროლეიბუსი მტკიცედ
შევიდა ქუთაისელთა ყოფაცხოვრებაში.
იგი დიდი ხანია კომფორტულ მდგომა-
რეობიდან გამოვიდა და ყოველდღიურ
აუცილებელ საჭიროებად გადაიქცა.
მხოლოდ ახლა შეამჩნიეს ქუთაისელებ-
მა, რომ თურმე ტროლეიბუსი წესიე-
რად არ დადის. როგორც წესია, მუ-

დამ იგვიანებს. მასში ჩასხდომის დროს
საშინელი უწყსრიგობა და აყალმაყალია.
ამიტომ, თუკი ქუთაისელები წინათ თა-
ვიანთ ტროლეიბუსს სასეირნოდ იყენებ-
დნენ, ამჟამად მასში საჭიროების დრო-
საც კი არ სხდებიან ხოლმე (ვისა აქვს
დასაძტვრევი და დასაჯეჯგვი თავი!).

ხოლო ქუთაისის ტროლეიბუსების
სამმართველოს ერთი რამ ავიწყდება.
ავიწყდება, რომ რასაც ახლად ფეხად-
გმულ ბავშვს აბატიებენ, იმას დავაუკა-
ცებულსა და ცხოვრებანახულ ადამიანს
სხვაგვარად უთვლიან...

მ. მერაქვილაძე

თიანეთში რა მიხლოდა...

თიანეთში შემთხვევით მოხვდით,
სრულიად შემთხვევით. მაგრამ აი, ის
კი არ მახსოვს თიანეთის რაიმალაზია-
ში რამ შემოიყვანა.

შევედი. მალაზია, როგორც მალაზია,
სამი სექციით. ერთ-ერთ სექციაში
მალალი, ტანწვრილი ახალგაზრდა მუ-
შაობდა გამყიდველად—ნიკო არჩემა-
შვილი (მისი სახელი და გვარი შემდეგ
გავიგე).

ტანწვრილ გამყიდველს საოცარი
ჩვეულება შევნიშნე: ყველას უხეშად
უპასუხებდა. არ დაგიდევდათ არც
დიდს, არც პატარას. მართალია, მისი
ლექსიკონი სულ ორიოდ სიტყვისაგან
შედგებოდა: „წადი შვილო“, „რა გინ-
და, შვილო...“ ისე ეტყოდა თავისი
ბებების ტოლ ქალს დაცინვით „შვილოს“,
რომ დედაბრები ქოქოლას აყრიდნენ
და სასწრაფოდ შორდებოდნენ.

მე რომ ზრდილობიანად წესრიგი-

საკენ მოუწოდე, „შვილოც“ არ მაკ-
მარა და ისეთი შემოქურთხა, მალა-
ზიაში საყიდლებზე მოსულმა ქალებმა
ყურებში თითები დაიცვეს.

მალაზიაში ჩხუბსა და აყალმაყალს
ხომ არ დაუწყებდით, საჩივლელად რაი-
კოოპერატივის თავმჯდომარეს არჩილ
წოწკოლაურს მივმართე. (მისი სახელი
და გვარიც შემდეგ გავიგე). მოსმენით
კი მომისმინა წოწკოლაურმა, მაგრამ
თავის მხრივაც ისეთი შემოქურთხა,
ადგილზევე გაეშეშა.

ესეც გვიან მითხრეს, არჩემავილს
წოწკოლაური უხეშობაში და უდიერო-
ბაში თუ არ სჯობია, არ ჩამორჩებაო.
უფრო მალლა მდგომ ამხანაგებს არ
მივმართე, მათი შეწუხება მომერიდა...

განა უჩემოდაც არ ხედავენ ამ მდგო-
მარეობას?...

ს. მიხაუჩი

ნახერხით გათბობა

წელს გადავწყვიტე ჩემი ბინა ნახერხით გათბობაზე გადამეყვანა. ნახერხით გათბობას ნახერხის ლუმელი უნდა, ასეთი ლუმელი კი მეთუნუქეთა არტელში მზადდება.

— გამარჯობა, ძია-კაცო!—ვუთხარი არტელის ერთ მეთუნუქეს.

- გაგიმარჯოს!—მომიგო მან ცალყბად.
- რა ღირს თქვენთან ნახერხის ლუმელი?
- ნახერხის ლუმელი გინდა?
- დიახ, ნახერხისა!
- შენთვის ოცდაათი თუმანი ეღირება.
- ოცდაათი?!
- ჰო, რა გაიკვირე, მაშ მუქთად ხომ არ იქნება?!
- აქ არტელი არ არის?!
- მერე რა რომ არტელია, უფროსებს ჭამა არ უნდათ?

ჩემ ცოლ-შვილს ჭამა არ უნდა?!

- მაშ ჩემ ხარჯზე ყოფილხართ და ეგ არი!
- არ გინდა—ნუ წაიღებ!
- მაშ საჩივრის წიგნაკი მომეცი!
- კაცო, შენთვის გინდა ლუმელი?
- მაშ ვისთვისა?
- ეგრე თქვი, რალა, ოცდახუთად შეიძლება.
- ოცდახუთად, რა, ღუქანია?!
- ჯანი გავარდეს, ოცად იყოს, ცოდო ვარ.

მოვრიგდით, მაგრამ არც საკვამლე მიღები გამოაჩინა და არც ნახერხის ჩასატენი ვედროები. ჩვენ არ ვაკეთებთ, გვერდზე იშოვნო. გვერდით კიდევ თითო ცალი მილი—თითო თუმანი, თითო ვედრო—ოთხი თუმანი დამიჯდა.

ასეთ ლუმელს ხომ ნახერხი სჭირდება. თბილისი სახერხი ქარხნებითაა სავსე, — წადი სადაც ინებებ: დიდუბეში, ნავთლულში, კიბალჩიჩის ხევთან. ამ უკანასკნელში მწითური კაცი დამიხვდა, უწყინარი შეხედულებისა.

- კაი გამარჯობა, ძია-კაცო!
- გაგიმარჯოს!
- ერთი მანქანა ნახერხი მჭირდება.
- არა გვაქვს, შვილო!—ზაფხულში სად იყავი, მტკვარში ვყრიდით ტყუილად.

- შენ გენაცვალე, ძია-კაცო, უნდა მიშველო რამე.
- მე არაფერი შემიძლია.
- მაშ ცარიელს მიშვებ?
- მუშებს ჰკითხე, მხერხავეებს, იქნებ მაგათ მოგიხერხონ რამე,—დამუნათებით მითხრა ბოლოს.

მუშებმა კიდევ თავიანთ საქსარეწტყეკავშირის არტელ „ტემპის“ გამგეობისაკენ მიმითითეს, მათი საქმეა ჩვენ ვინ გვკითხავსო. „ტემპის“ თავმჯდომარემაც უარით გამომისტუმრა და ისევ მწითურს მივაკითხე, მაგრამ იგი საქმით იყო გართული: ვილაც მოქალაქეს მანქანას უტვირთავდნენ ნახერხით. მანქანა მალე დაიტვირთა. მოქალაქემ, რომელიც „დიდი კაცი“ თუ არა, მისი ნათესავი, ან ნაცნობი მაინც უნდა ყოფილიყო, გამოალო კაბინის კარი და მანქანაში მედიდურად კმაყოფილი ჩაჯდა. მანქანა ფრთხილი ზოხინით გავიდა.

მწითურმა და მხერხავემა სართულებიანი გინება მიაცილეს,—ერთი შაურიც არ იკისრაო.

ახია მათზე, არ ერჩიათ ჩემთვის მოეცათ ის ნახერხი? მაშინ ხომ მათივე ჩვეულების მიხედვით, მათვე „ჩაუვალაღვი“ იმ ას ორმოცდაათ მანეთს, რომლითაც სამტრედიის ქუჩაზე ვიყიდე ერთი მანქანა ნახერხი.

უ, ღვალიქე



ჩვენ სპორტული სიყვარულით მოვიარეთ შთა და მდელი, იანვარშიც ვერხად ვნახეთ დათოვლილი საქართველო! ალოვდება გაზაფხული,— შარშანდელი ფენაც დნება, ჩვენ კი არა, თოვლის ფიფქი ბაკურიანს ენატრება!

საქართველოს სსრ საბ. წიგნთა და ბიბლიოთეკათა ცენტრალური საბ. წიგნთა და ბიბლიოთეკის განყოფილება
 № 39
 7/11

პირადად ვიცნობთ ვინც არის—
პირადი უპირატესი,—
აგიფებს სხვისი სიმდიდრე,
და სხვისი ნახნავ-ნათესი!

საქართველო
საქართველო

ხელში უჭირავს ქანდაკი,
დაეძებს სახელმწიფოებს...
ერაყს და თურქეთს, მხედარი
ქუხლით უღეწავს წიბოებს...

